

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 158

(26. 10. 2009 წ.)

სტუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და საბიბლიოთეკო ქსელში  
განსახორციელებელ ღონისძიებათა პროექტის შესახებ.

აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოწონებულ იქნეს პროფ. ა. შავგულიძის მიერ წარმოდგენილი სტუ-  
ის სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და საბიბლიოთეკო ქსელში  
განსახორციელებელ ღონისძიებათა პროექტი (თან ერთვის) და  
მიზანშეწონილად ჩაითვალოს მისი დანერგვა საქართველოს  
ტექნიკურ უნივერსიტეტში.
2. დაევალოს ბიბლიოთეკის დირექტორს, ბ-ნ ვ. პაპასკირს პროექტის  
1-ლი პუნქტის შესრულების მიზნით, ორი კვირის ვადაში  
წარმოადგინოს აკადემიურ საბჭოზე განსახილვებლად:

ა) სამეცნიერო ბიბლიოთეკის ახალი სამეცნიერო-  
მეთოდური საბჭოს შემადგენლობის  
კანდიდატურები;

ბ) სამეცნიერო ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და  
საბიბლიოთეკო ქსელში რა რესურსებია საჭირო  
( ფინანსური და სხვა) პროექტში შეტანილი  
საკითხების განსახორციელებლად

3. სტუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს  
მიერ შედგენილი გეგმა დასამტკიცებლად წარედგინოს სტუ-ის  
მმართველ ორგანოებს არაუგვიანეს 2009 წლის დეკემბრისა.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

რექტორის მ/შ, პროფესორი

ლ. კლიმიაშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი

გ. სალუქაძე

